„მასწავლებლების კატეგორიებად დაყოფა უნდა მოხდეს – გამოიძებნოს დამატებითი მექანიზმები“ – მაია კობახიძე

15-11-2021 https://etaloni.g

პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის ხელმძღვანელი, მაია კობახიძე პრაქტიკოსი მასწავლებლების პრობლემებს გამოეხმაურა და ერთ-ერთ გადაცემაში აღნიშნა, რომ გამოცდების შედეგების მიხედვით პედაგოგებისთვის სტატუსის ჩამორთმევას ეწინააღმდეგება. მართალია, გამოცდების შედეგების მხრივ უკეთესი მოლოდინი ჰქონდათ, თუმცა თვლის, რომ მასწავლებლებს პროფესიაში დარჩენის შანსი მაინც უნდა მისცენ. ამასთან, კობახიძე იმ წინადადებებზეც საუბრობს, რომელიც პროფკავშირს მასწავლებელთა უფლებების დასაცავად აქვთ შემუშავებული:

„უნდა გავითვალისწინოთ არსებული მძიმე სტრესული მდგომარეობა; ჩვენი მხრიდან გავწიეთ დიდი მუშაობა პედაგოგთა საგამოცდოდ მოსამზადებლად, უკეთესი მოლოდინი გვქონდა, მაგრამ რა გაეწყობა... ახლა შევისწავლეთ საკითხი და მივედით დასკვნამდე - პრაქტიკოსი მასწავლებლების დიფერენცირება, კატეგორიებად დაყოფა უნდა მოხდეს და ახლავე აგიხსნით, როგორ:

არიან ისეთი მასწავლებლები, ვინც ორივე გამოცდა ჩააბარა, კომპეტენცია დადასტურებული აქვს, მაგრამ სქემით განსაზღვრულ 19 კრედიტამდე დააკლდა ნახევარი, ერთი, ერთნახევარი კრედიტქულა... მიგვაჩნია, რომ არასამართლიანი იქნება ამ მასწავლებლებისთვის სტატუსის ჩამორთმევა - უნდა შემუშავდეს სპეციალური ტრენინგ-პროგრამა, ფაქტობრივად, გამოცდის ტოლფასი და მისი წარმატებით დაძლევის შემთხვევაში, მასწავლებლებს უნდა მიეცეთ, პროფესიაში დარჩენისა და სტატუსის ამაღლების შესაძლებლობა;

აქვე უნდა გავითვალისწინოთ საპენსიო ასაკის მასწავლებლებიც - ჩემი აზრით, არაჰუმანური აქტი იქნება მათთვის სტატუსის ჩამორთმევა, ვინაიდან მათ შორის ბევრი გამოცდილი პედაგოგია, მრავალწლიანი სტაჟით; მათთვისაც უნდა გამოიძებნოს დამატებითი მექანიზმები, რათა შეძლონ ღირსეულად პროფესიიდან წასვლა და არა - გამოცდის ჩაუბარებლობის გამო;

კიდევ ერთი კატეგორიაა სპორტის მასწავლებლები - ალბათ ყველასთვის ცნობილია რომ მათი სპეციფიკა განსხვავდება სხვა საგნების მასწავლებლების მეთოდოლოგიისგან, ამიტომ სამინისტროს შევთავაზეთ ორი ვარიანტი - სპორტის მასწავლებლებისთვის შემუშავდეს განსხვავებული სპეციფიკის ტესტები, ვინაიდან ისინი საკლასო ოთახში არ წარმართავენ გაკვეთილს და უნდა მიეცეთ დამატებით გამოცდაზე გასვლის შესაძლებლობა; ხოლო ვისაც ჩაბარებული აქვს გამოცდა მათთვის უნდა გამოიძებნოს ტრენინგების გავლის საშუალება;

ასევე არიან არაქართულენოვანი მასწავლებლები, რომლებიც უნდა დარჩნენ სისტემაში გაიარონ ტრენინგებია და რა თქმა უდნა, შეისწავლო სახელმწიფო ენა და ბოლოს, ყველამ უნდა გავითვალისწინოთ კოვიდპანდემიამ, რამაც ჩვენი პედაგოგები შეაფერხა“.